1877 წლიწადი ოც-დამერვე 1904

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 19 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი **№ 19**

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს — 5 მ. და თიბათვის 1-ს — 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს — 4 მ., მარტის 1-ს — 3 მ. და მარიამობისთვის 1-ს — 3 მ.
3. ხელის მოწერის დროს — 3 მ., მარტის 1-ს — 3 მ. თიბათვის 1-ს — 2 მ. და ენკენისთვის 1-ს — 2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

კნეინა ანნა ნიკოლოზის ასული მაჭუტაძისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ პირველი — დაუვიწყარის ქმრისა, ხოლო მეორენი — ძვირფასის მამის

თავ. ივანე ალექსანდრეს ძის მაჭუტაძის

გარდაცვალებას ქალ. ქუთაისში. დაასაფლავებენ 27 იანვარს სოფელ ნიგოითში. (ნ. 1—1)

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას. ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

5 მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი **პ**რემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის" **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის — დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს — 12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში: — „ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

ქუთაისში: — წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში: — ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბურჩაში: — პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში: — პართეს ნასიძესთან.

განჯაში: — სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში: — ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ — 15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ — 10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გადიღებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა უ ფ ა ს ო დ** აკვარელით (ფერადებით) სასტუმრად დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ნახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე**.

ქართული თეატრი

კვირას, 25 იანვარს, 1904 წ.

ბენეფისი

ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

განთიადი

სცენები 5 მოქმ. თ. აკაკისა.

II

ადვოკატთან

ვოდევ. 1 მოქმ. თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, მ. მატარაძე, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 25 იანვარს 1904 წ.

წარმოდგენილი იქნება

ვინძორელი ნათლიდედები

ოპერა 3 მოქმ. მუს. ნიკოლაისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევისა, კარტავინა, სელიუკ-როზანტკოვსკისა, ბ-ნნი: რაისკი, სელიავინი, გლადკოვი, შმატოვი, რჟანოვი, ფედოროვი, გრიზევი გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი მ. ნ. ბოგდანოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პაზენი.

დასაწყის საღამოს 8 საათზე.

ორშაბათ სპექტაკლი არ გაიმართება.

სამშაბათს, 27 იანვარს ვ. მ. სანგურსკის საბენეფისოდ ნ. ფიგნერის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება I „რუსალკა", II „რობერტ დიავოლი" და III „სევილიელი დალაქი" (1 და 2 აქტები).

ფიგნერის ავადმყოფობის გამო გლადკოვის ბენეფისი გადადებულია სხვა დღისთვის.

გირავდება სოფლის შემოსავლიანი მამული ტფილისის მაზრაში მეორე გარავნობის ქაღალდით, 304 დესეტინა, ტყე და მინდორი. საჭიროა ორასი თუმანი. ყოველის დოკუმენტის ნახვა და პირობის შეტყობა შეიძლება „ივერიის" რედაქციის კონტორაში. მსურველს შეუძლიან იყიდოს კიდეც. 5—6 3

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

ექიმი
ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი — ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი** — ქალისა და საბებით 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სობოლევსკი — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი — შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა — კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიძოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აკვეტისიანცი. 10—11 საათამდე — კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა — სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ხ. ტ. ავანესიანი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

(ლ.

ტფილისი

დღეს, 25 იანვარს, ქართულს თეატრში ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ ქართული დრამატიული საზოგადოების დასი წარმოადგენს აკაკი წერეთლის ახალ პიესას „განთიადი" და ვ. გუნიას 1 მოქმ. ვოდევილს „ადვოკატთან". ვოდევილში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი საფაროვ-აბაშიძე. იმედია ქართველი საზოგადოება პატივს სცემს დამსახურებულს მობენეფისეს და მრავლად დაესწრება წარმოდგენას მით უფრო, რომ პიესაც ახალია.

როგორც გადმოგვცეს, ბათუმის ქალაქის მოურავი თავადი ნ. ზ. ანდრონიკაშვილი ამ თანამდებობას თავს ანებებს და ბორჯომის მამულის გამგედ ინიშნება.

გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ლეონიდი.

კავკასიის მთავარ-მართებელმა და მისმა მეუღლემ 1000 მ. შესწირეს კუკიის სამრევლო სკოლის სამზრუნველოს სამადლო სახლის ასაგებად.

ხვალ, 26 იანვარს, დანიშნულია ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ხმ. რ. იოსისიანის განცხადებას ტფილისის ყოველ საპოლიციო უბანში ღარიბთათვის სამზრუნველოს დაარსების შესახებ.

ტფილისის გუბერნიის საქარხნო საქმეთა საკრებულომ შეიმუშავა დღიური ფასი (საშუალო) ტფილისის ქარხნებსა და ფაბრიკებში მომუშავე დღიურ მუშათათვის, სახელდობრ: მამა-კაცთათვის — 75 კ., დედაკაცთათვის — 50 კ., მოზარდ ვაჟისთვის (15—17 წლამდე) 45 კ., მოზარდ ქალისთვის — 35 კ., მცირე-წლოვან ვაჟისთვის (12—15 წლამდე) 25 კ. და მცირე-წლოვან ქალისთვის 20 კაპ., ეს დღიური ფასები დაწესებულია 1904, 1905 და 1906 წლისათვის.

როგორც გავიგეთ, აზრად აქვთ ცხენის რკინის გზაზედ ავჭალის ქუჩაზედ მოკლე ხანში კონდუქტორთა შტატი გააფართოვონ. დიდძალი თხოვნები მიუციათ ცხენის რკინის გზაზედ კონდუქტორის ადგილის მსურველთ.

ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა სესია 16 თებერვალს გორში განიხილავს საქმეს სოფელ თამარაშენის მცხოვრების მაქსიმე ტოტოშვილისას, რომელსაც შვილის მოკვლა ბრალდება. მკვლელობის მიზეზად ასახელებენ უსიამოვნებას ადგილ-მამულის გაყოფის გამო.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს, შესაფერისი შენობა მონახე დიდუბეში ქალაქის საავადმყოფოს განყოფილების მოსათავსებლადაო. მკურნალი ამ განყოფილებაში ქალაქის გამგეობამ უკვე დანიშნა.

14 იანვარს ბათომში გამართულ იქმნა ქართული საღამო იქაურ ქართულ სკოლის სასარგებლოდ, ბილეთების გაყიდვით შემოვიდა 1,404 მანეთი 90 კაპ. კიოსკებიდან — 1.648 მან. 20 კაპ., პრემიები — 1,039 მან. 71 კაპ., სულ შემოვიდა 4,02 მან. 21 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 3,000 მან. 60 კაპ.

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა არღუთინსკიმ ქალაქის გამგეობას მისცა განცხადება, შუამდგომლობა აღვძრათ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს წინაშე, რომ ტელეფონის ფასს ცოტა დააკლოსო, ან სულ ქალაქს მისცეს ეს საქმეო. ამ განცხადებას ქალაქის გამგეობა საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია და მიანდო ღონისძიებათა გამოძებნა ჭლექის წინააღმდეგ.

იმ კომისიამ, რომელსაც ღარიბთათვის 200 მანეთი უნდა გაენაწილებინა, გადასწყვიტა ფულად დაურიგოს ღარიბთ, მხოლოდ ზოგიერთებს მისცეს ბილეთები იაფ-ფასიან სადილისა. ფულს დაარიგებენ ქალაქის გამგეობისა და სავაჭრო პოლიციის წევრნი.

პირუტყვთა მფარველმა ტფილისის საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის პოლიციმეისტერს, განკარგულება მიეცით პოლიციელთ და მეეზოვეთ, რომ თვალყური ადევნონ პირუტყვთ და თუ ვინმე უდიერად ეკიდებოდეს, პასუხის გებაში მისცენო.

როგორც გვატყობინებენ, ს. ვეჯინში, სიღნაღის მაზრა — ბოროტ-მოქმედთ გაუტეხიათ ფერიცვალების ეკკლესია. წაუღიათ, რაც რამ ყოფილა. შანდლებიც-კი არ დაუტოვებიათ, რადგან ვერცხლისა ჰგონებიათ.

უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა ტფილისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა, ქალაქის გამგეობა სთხოვდა, ფული მოგვეცით იმ ადგილში, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზამ ჩამოგვართვა ლაზარეთის სადგომისთვისაო.

აზრად აქვთ, მოკლე ხანში ახალი შენობა ააგონ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისთვის.

ამ დღეებში ტფილისის ხმოსნებმა, რიცხვით 30 კაცმა, ხმ. არღუთინსკის და კოჟინს კენჭი უყარეს ტფილისის ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობაზედ ასარჩევად. ხმ. კოჟინს 20 თეთრი ამოუვიდა, ხმ. არღუთინსკის 17.

22 იანვარს კრება ჰქონდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. კრებამ პირველად

მოისმინა ბ-ნ ქალანთარის მოხსენება ინსტრუქტორთა მიერ სოფლად მერძეობაზე ცნობათა გავრცელების შესახებ და შემდეგ განიხილა და უცვლელად დაამტკიცა განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ღვინის კანონისა.

ბაქოელმა ვაჭარმა ცატუროვმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, იჯარით მომეცით ნავთიანი ადგილი, რომელიც ქალაქს ეკუთვნისო. ამ ადგილს ,,ნავთის ჰალა" ჰქვია და 1½ ვერსის მანძილზეა დაშორებული ტფილისიდან. ვაჭრმა ცატუროვმა გამგეობას წარუდგინა თავისი პირობანი, რომლითაც სურს აიღოს იჯარით ეს ადგილი.

სადღეისოდ

ამ წლის ,,მშაკის" მეორე ნომერში მოთავსებული იყო ერთი უსახელო წერილი, სადაც ავტორი სამართლიანად წუნსა სდებდა ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობის მიმდინარე სეზონში მოღვაწეობას, როგორც რეპერტუარის შეუმზადებლობისა და უშველებელის დამოწყვევის, ისე იმ დავიდარაბის გამო, რომელიც გამოიწვია ალექსი-მესხიშვილის დათხოვნამ. დასასრულ ავტორი ამბობდა, ერთი-და სუმბათიშვილის ,,ღალატი" დარჩენია საზოგადოებას და თავის გატანა იმით ჰსწადიაო.

მოვესწარით ,,ღალატის" დადგმასაც და, საუბედუროდ, კიდეც ვნახეთ. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ვიცოდეთ რა შთაბეჭდილება მოახდინა სომხის რეცენზენტზედ ამ პიესის ნახვამ. აი იმავე გაზეთის მეშვიდე ნომერში ვინმე, რომელსაც თავისი ვინაობის აღსანიშნავად უხმარია T ასო, რასა ჰსწერს;

„სამშაბათს, იანვრის 20, ქართულმა დრამატიულმა დასმა, სახელმწიფო თეატრში, პირველად წარმოადგინა თავადის სუმბათიშვილის ახალი პიესა „ღალატი". ქართველთა საზოგადოება, რომელიც მოუთმენლად ელოდა ამ ახალი პიესის წარმოდგენას, იმდენი შეყრილიყო, რომ თეატრში ტევა აღარ იყო.

შინაარს აღარ მოვყვები, რადგანაც სომეხთა საზოგადოებას მოეხსენება. არას ვიტყვით აგრეთვე პიესის ღირსებისა, თუ ნაკლოვანებისას, რადგანაც მწერლობაში საკმაოდ იყო განმარტებული. ჩვენი სალაპარაკო იქნება, ვინ როგორ ითამაშა თავისი როლი.

არტისტებმა თავიანთი თამაშობით უღალატეს ,,ღალატსა". საზოგადოდ უმთავრესმა როლის აღმსრულებლებმა კარგად არ იცოდნენ თავიანთი როლები.

უმთავრესი გმირი-ქალის ზეინაბის როლს თამაშობდა ბაქოდან მოწვეული ქ. ეფემია მესხი, რომელიც მადლიანი, გამოცდილი და ჰკვიანი მსახიობია საზოგადოდ, მაგრამ ზეინაბის როლი მის ძალას აღემატება. მსახიობს ხმა მეტად სუსტი აქვს, რის გამო პიესის ძლიერ ადგილებში ვერ შესძლო შთაბეჭდილების მოხდენა, როგორათაც მესამე და მეოთხე მოქმედებაში. ისეთი ერთ კილოვანის მატირალის ხმით ლაპარაკობდა, გეგონებოდა ოთარ-ბეგს რაღაცას ეხვეწებოდა, არა თუ ამხნევებდაო. ქ-ნი როლს კარგად კითხულობდა, მაგრამ კი არ თამაშობდა. თამაშს ხელს უშლიდა ისიც, რომ მიმიკა არ ჰქონდა.

გუნიას ოთარბეგის როლში არა უშავდა რა, მაგრამ ძლიერ ხელს უშლიდა ის, რომ მიმიკა აკლდა.

კ. მესხმა სრულიად ვერ მოახერხა დაეხატა უდარდელი მხიარული აზნაური მსახურის ტიპი, რის მიზეზითაც ბესო ქართულ სცენაზე დაიკარგა.

დავითიშვილის ქალი ადგილ-ადგილ კარგი იყო გაიანეს როლში. კარგნი იყვნენ ქბ. ჩერქეზიშვილისა ისახარის როლში და ბ-ნი ყიფიანი ანანიას როლში, თუ რომ გრიმი თავისი ხნოვანების შესაფერი ჰქონოდა. ის არ ეუბნებოდა ოთარბეგს, მამაშენთანა ვარ მონათლულიო. ოთარბეგი-კი თმა-ღარა არის.

ალექსი-მესხიშვილმა თავისი სნეულის ხმით ვერ მოახერხა მოეხდინა სოლეიმან ხანის როლში მოსალოდნელი შთაბეჭდილება.

ცუდი არ იყო ქბ. კარგარეთლისა რუქაიას როლში. დანარჩენები სუსტები იყვნენ.

ბ-ნ რეჟისორს ყურადღება არ მიექცია ტანისამოსისათვის. მაგალითად, ანანიას შვილები დათო და ბესო მორთულიყვნენ უფრო მდიდარი თავადიშვილების შესაფერად, მაშინ როცა ანანია უბრალო სოფლის მამასახლისია, მეორის მხრით ბესო, რომელიც ოთარბეგს ახლავს, შეჰფერის ყოველი სიკეთე და თვითონაც აზნაურია — ძლიერ მარტივად და უფერულად იყო ჩაცმული.

ძლიერ სუსტი იყო ის სანახავი, სადაც ხალხი იყო დამსწრე. ამათი გასვლა გამოსვლა გეგონებოდა რაღაც ბრძანებით იყო, სიცოცხლე არ ჰქონდათ.

საზოგადოდ შთაბეჭდილება ძლიერ სუსტი იყო.

როგორც ხედავთ, პატივსაცემო მკითხველო, სომხის რეცენზენტი ლმობიერად მოეპყრობია ჩვენს არტისტებს და ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობას არავითარ ბრალს არ ჰსდებს. ჩვენის აზრით-კი ბ-ნ რეცენზენტს უსახელო ამხანაგმა უფრო ალღო აართვა ამ გამგეობას, როცა თქვა ,,ღალატით" უნდათ თავის გატანაო. დიაღ, ღალატით გაიტანეს და თავი, რადგან შემოსავალი საოცნებელი ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ-კი არ გაგვიტანეს და ისე ჩააგდეს საზოგადოება, თითქოს მეწველი ფური ყოფილიყოს. ბ-ნმა სუმბათიშვილმა დაგვიხატა ღალატი სამშობლო ქვეყნის დასახსნელი და ჩვენმა დევგმირებმა დრამატიულის საზოგადოების წევრებმა-კი ღალატი ჩაიდინეს სამშობლო ქვეყნის გასაცემი, სახელის გასატეხი და ხელოვნების ასაგდები. ამ ვაჟბატონებს, თუ კიდევ პირწყალი შერჩენიათ, საჯაროდ აღიარონ, პირველი რეპეტიცია როდის დაიწყეს, ან მანამდე რას აკეთებდნენ? დამღუპველი ინტრიგის შემდეგ, რომელიც «ღალატის» ქართულის თარგმანის ვითარებას მოჰყვა, ნუ თუ რამდენიმე დღე საკმაო იყო ამ დიდებულის პიესის წარმოსადგენად და ჩვენი არტისტები ისეთი ზესთაბუნებრივი ხალხი ეგონათ, რომ მოკლე ხანში როლსაც შეისწავლიდნენ, ზნესაც შეითვისებდნენ, ენასაც გაიტეხდნენ, მეტყველებასაც მიეჩვეოდნენ. რას ერჩოდნენ, რომ კლდეზე გადაჩეხეს. აი ამისთვის უთქვამთ: აჩქარებითა სოფელი არავის მოუპამია და სიჩქარესა ქებულსა ჰსჯობს სიწყნარე გობიილიო. ჩვენი თეატრის ბედ-იღბლის გამგებლებს რაღა პირი აქვთ დასადგომი და ხელს რად აღარ უშვებენ საქმესა, რომელიც ასე უძლიეთ.

კლდია.

ჩვენებური ამბები

ქ. სიღნაღი ღმერთო შენით, ჩვენის სიღნაღის ინტელიგენტი ქალებიც ცდილობენ ჩაებან ცხოვრების საერთო ფერხულში. ბევრად თუ ცოტად ისინიც იღვწიან; იღვწიან, მაგრამ არ ვიცით-კი ვისთვის და რისთვის? ჯერ ხომ მეჯლიში გამართეს და მისი შემოსავალი გადასდვეს პატიმართათვის. ეს სახელია დამიიდეს თუ არა პატიმართ ეს ფული ან რამდენი, ის „ადაჭვმა" უწყის. ახლა შობის ხე მოახერხეს, მარიამის ოთხ კლასიან სასწავლებელში მოსწავლე ქალთათვის. ამის შემოსავლით მოსწავლე ემაწვილთ ტკბილეულობას დაური ეს და სათამაშოები. შესვლის ფასი იყო სრულ წლოვანებზე 40 კ. იმავე სკოლაში მოსწავლე პატარა ქალებზე კი 60 კ. (ვაშა!) მეც ჩავხედე ჩემს ღარიბ ჯიბეს, გამოვჩხრიკე ქისა და გავწიე საზოგადო საკრებულოში «იოლკაზე». იქ ვიკითხე: რად არის ასე? დიდებას ახლევინებთ 40 კ. და პატარებს-კი 60 კაპეიკს მეთქი. იმიტომ რომ პატარებს საჩუქრები უნდა დავურიგოთო.

დადგეს ვეებერთელა ხე და ჩამოჰკიდეს ხის ტოტებზე ათასნაირი ფერის «კანფეტები» და სხვა. მიიპატიჟეს პატარა ქალები. მაგრამ დიდებმა უფრო მარდად დაუწყეს გლეჯა, ჩამოჰკრიბეს და ისევ ჩააწყეს ყუთში, —ეს რადაა მეთქი?—შევეკითხე მასწავლებელს. ეს კიდე ხვალ შინაურული «იოლკა» უნდა გავმართოთ და ნაცნობ და მეგობრების პატარები მოვიწვიოთო. ემაწვილებს-კი დაურიგეს ორ გროშიანი თითო ორორა «კამფეტები», ზოგსაც მიაწოდეს ხის ცულაბები, და თიხის ძაღლის თავები და სხვა.

ეხლაც იტყვით რომ სიღნაღის განათლებული ემაწვილ ქალობა არას აკეთებსო? აი ახლაც ვნახეთ. ე. ი. მომავალ თებერვლის 5-ს ექნებათ „კოსტიუმიროვანნი" საღამო. შესვლის ფასი ასეა გამოცხადებული «აფიშაში: ქალებზე 70 კ., კაცებზე 1 მან. მშვენიერ და იაფ-ფასიან ტანისამოსის მქონეს მიეცემა პრემიაო. საღამოზედ დაუკრავს აქაური მუზიკა. (ე. ი. მხატვარ ალექსანდრეს გარმონი). მეც ვემზადები ჩემი დიდი გაქონილ ტყავით და ბანჯგვლიან ფაფახით და ღმერთი და ბედი; თუ რაც შემოსავალი, ჩემს ღუდს ტყავს მისცეს პრემიაო. ამ ფულიდან ერთ გროშსაც არ ვიღდმებ; იმ ფულებს გარდავცემ ვირების ღოღიდან შემოსულ ფულების კომიტეტს. ღმერთმა მშვიდობაში მოახმარიოთ, სადაც უნდათ და, როგორც უნდათ ისე მოიხმარონ.

საწყალი ქალებო! რამდენი ღარიბის, რამდენი ქვრივ-ოხრისაა და ობოლი, რომ სწავლის ფული არა აქვთ და ძალა-უნებურად სკოლიდან ერეკებიან. ანთავისუფლებენ მარტო იმათ, ვისაც ,,ფაფხირობობას" მოუწონებათ და არა ნამდვილად გაჭირვებულთ და ხელ მოკლე დედ-მამის შვილებს. არ არის ბობის ამათთვის არც კანწით განთავისუფლება, არც დარიბ-დატაკის შებრალება.

აბა, ახლა შევიაროთ სამოქალაქო სამ კლასიან სასწავლებელში, იქნება იქ მაინც წავაწყდეთ მართლ-მსაჯულებას, ლმობიერებას. მასწავლებელთა სათათბირო სხდომაში ავსებით სავსეა მაგიდა თხოვნებით სიღარიბის ქვრივ-ოხრებისაგან და ობლებისაგან და სხ. ათასნაირად აბრალებენ თავს ამ სასწავლებლის ინსპექტორს, გავანთავისუფლე შვილებიო. მაგრამ სამწუხაროდ აქაც იმისთანავე მართლ-მსაჯულებაა, როგორც მარიამის სასწავლებელში, არც აქ ყოფილა კანწით განთავისუფლება. ვისაც გაუღიმებს ბედი, იმას ანთავისუფლებენ, თუნდ მდიდარიც იყოს და ფულიანიც.

სიღნაღელი.

—

ს. სვირი. (ქუთაისის მაზრა). ,,სანამ არ დაიქუხებს, გლეხი არ გამოისახავს პირჯვარს", ამბობს რუსული ანდაზა, და სწორედ სვირელებზე ითქმის ეს: წარსული წლის შემოდგომის პირველი ნახევარი ძლიერ წვიმიანი იყო, წვიმამ ძლიერ შეუშალა ხელი რთველს და ნამეტურ სიმინდის მოსავლის დაბინავებას. სვირელებს ყანები მდ. ყვირილის გაღმა აქვთ «ხოხოტელში". მდ. ყვირილა ძლიერ ადიდდა; ფონში გასვლა, როგორც ამას სხვა დროს შვრებოდნენ, შეუძლებელი იყო. წყალმა-კი ერთად ერთი სასოფლო ბორნის თოკი გაწყვიტა. შეხედეს სვირელებმა, რომ მთელი წლის სარჩო წყალ გაღმა რჩებოდა და ერთხმად ალაპარაკდნენ: ,,მდ. ყვირილზედ ხიდი უნდა გავაკეთოთ, უხიდობა არ გვარგიაო", 60—80 ათასი მანეთის საქმეს გადაწყვეტილად სთვლიდნენ, მაგრამ შემოდგომის მეორე ნახევარმა და თითქმის დეკემბრის ნახევარმა ძლიერ საუცხოო ტაროსი დაიჭირა. მდ. ყვირილამ შესანიშნავად იკლო, ბორანი შეაკეთეს და ხიდის გაკეთება განუსაზღვრელ დროისთვის გადადვეს. 18 დეკემბრიდან დაწყებული 1 იანვრამდის კარგა ბლომად ჩამოჰყარა თოვლი მერე-კი ყინვები დაიწყო, ჩვენი ბორანი იძულებული შეიქმნა მუშაობა შეეწყვიტა—ყინვების გამო. ვინ იცის, ყინვები რომ გაგრძელდებოდეს, იქნებ კიდევ დაეწყოთ სვირელებს ხიდის გაკეთებაზე ლაპარაკი, მაგრამ მარტო ლაპარაკი გააკეთებს კი? ჭირი და საქმეც ის არის, რომ ყვირილელებს ლაპარაკი უფრო ეადვილებათ, ვიდრე საქმის გაკეთება.

სოფლის მოხელეების არჩევნებმა წელს მეტად დაიგვიანა და მოულოდნელად გათავდა: ყველა მოხელეები დასტოვეს, გარდა უსწავლელის მამასახლისის დ. ნიჟაბაძისა, რომელიც ერთ ხმად იქმნა არჩეული. წინანდელ შეცდომას თითქოს ეხლა ასწორებენ: წინედ თუ ნასწავლს არჩევდნენ და ჯამაგირსაც უნიშნავდნენ, წელს ამაზე კრინტიც არავის დაუძრავს.

ამას წინად ,,ივერიის" ერთ ერთ ნომერში ვიღაც კორესპონდენტი სვირის სამეურნეო საზოგადოებას უსაყვედურებდა, დრო არის ამ საზოგადოებამ ღვინის წარმოებას მოჰკიდოს ხელი; დრო არის, განვიმეორებთ ჩვენც, ამასვე ამბობს ხსენებული საზოგადოებაც, მაგრამ ეს საქმეს არ ჰშველის; ღვინის წარმოებას უნდა არა ცოტა თანხა და საზოგადოებას-კი მოეპოება ძლივს ძლივობით 1500 მანეთამდის, რომელიც სიჩქარის მოწყობაში, ვენახის ნამყენში აქვს ჩაერილი, წარსულ წელს საზოგადოებას დაურიგებია 60,000 ძირი ნამყენი, ამასაც წელს ამოუდის საზოგადოებას 34000 ძირი სადი ნამყენი, უმეტესი ნაწილი ამათგანი არის ადგილობრივის ჯიშისა: კრახუნა, ცოცქა, ტოლდლაში, კაზური და ოცხანური საფერე, მადლარი და სხვა. არის აგრეთვე უცხო ჯიშისა, როგორიც არის მაგალითად: შასლა, საპა, თითა, ანჟელინი და სხვა; ძირი ადგილობრივი ვენახის ნამყენისა ღირს ერთი შაური და სხვა კი—ორი შაური; ნამყენი საუცხოვო გაკეთებულია, ფასიც შედარებით ყველასთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ ჯერ მეოთხედიც არ გაიყიდა, აწ გაიყიდება თუ არა ღმერთმა იცის, და როგორ გინდა რომ მეღვინეობას მოჰკიდო ხელი, საქმეც ის არის, რომ თქმა სხვაა და ქმნა სულ სხვაა,

თორნიკე.

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

წელიწადი მეორე

№ 3.

მოცლილი კაცის დღიური

4.

18—24 იანვარი

მე რაღა ვსთქვა?.. იმდენი ითქვა და დაიწერა 22 იანვრიდან 24-დე ,,ღალატის" წარმოდგენის შესახებ ქართველ არტისტთაგან, რომ მე სათქმელი აღარა დამრჩა-რა. მაგრამ ბოლმა მახრჩობს, ,,ოხვრაათ შვება უბედობისა", ცრემლი არის მალამო გამწარებულის სულისა. ამიტომ უნდა ავცრემლდე, რომ ბოლმა მომეშვას გულიდან, ,,ვიოხრო", რომ შვება მომეცეს, გამწარებული სული და გული მოვიშმინდეს. და აი, მხოლოდ ამიტომ მეც მინდა ცოტა რამ ვსთქვა.

[illegible]. გასმა დაიჩივლა ,,ცნობის ფურცელში": ნეტავი ფეხი მომტეხოდა და ,,ღალატის" წარმოდგენა არ მენახაო. მე ფეხის მოტეხას ვერ ვინატრებდი... ერთი ფეხი ისეც მოტეხილი მაქვს და ამიტომ ჩვენი არტისტები ღირსნი არ არიან, იმათთვის მეორე ფეხიც მოვიტეხო... მაგრამ ერთ ვინატრე: ნეტავი, თქვენის კარგად ყოფნით, ჩემო მკითხველნო, რომელნიცა არ ბძანდებოდით ,,ღალატის" ქართულს წარმოდგენაზედ,—თვალები დამსომოდა და მე ჩემის დასაბრმავებელის თვალებით ჩვენი უხეირობა არ მენახა! ენა ვერ გამოსთქვამს, კალამი ვერ აღწერს იმას, თუ რა ჰქმნეს ჩვენმა ნაქებმა არტისტებმა: გოგოლის უნტერ-აფიცრის ქვრივივით ხომ თავისი თავი გაიროზგეს, ცოლი გამოიჭრეს, მთლად ქართველობასაც თავი მოსჭრეს...

აი, დღესაც ჩემს სულს მოსვენება არ მისცემია: ჩემი ოთახის კედლებზედ ოთხ კუთხივ წითლად დაფერადებულის ასოებით აწერია: ,,ღალატი", ,,ღალატი"! მუდამ მელანდება ,,ღალატი" და ღალატი!!...

დღეს ვისაც-კი ვხვდები, ყველა მოღალატე მგონია; ყველას თითქო შუბლზე დიდის ასოებით ღალატი აქვს ამოჭრილი, თითქო ყველას სულში ღალატი უზის და აქოთქოთებს მას.

ჩვენში მუდამ საზოგადო საქმეს პირადი, კერძო საქმე ახრჩობს. აი, ვთქვათ, საზოგადო მოღვაწე ხარ, შენს პირადობას ვინმე შეეხო, ანებებ თავს საზოგადოს და ამ საზოგადოს ანაცვალებ შენს კერძოს. რამდენი საქმე ჩამხრჩვალა ჩვენში ადრე და ახლა, და რამდენი კიდევ ჩაიხრჩობა, ვინ მოსთვლის. აი აქაც, „ღალატის" წარმოდგენაშიდაც, საზოგადო ზვარაკად შესწირეს კერძოს და აი რომ გამოვიდა დომხალი. ამ დომხლით გაგვიმასპინძლდებიან მუდამ ჩვენი «გენიოსი» არტისტები, თუ ქართულის თეატრის საქმე მომავალი სეზონიდან ძირეულად არ შეიცვალა. როცა ყანას ბალახი მოერევა, გამარგლავენ, რომ ზრდა არ დაუშალოს, ღვარძლს ძირიანად უნდა ამოგდება.

თუ ჩვენი სცენაც არ გაიწმინდა, არ მოსცილდნენ ისეთი გულზვიადი ბატონები, რომელნიც უშლიან „თესლსა კეთილისა" აღმოცენებად, მუდამ იმ დღეს დაგვაყენებენ, როგორც ეს გვიყვეს 20 იანვარს.

დიაღ! ოცი იანვარი სისხლის მელნით ჩაიწერება ჩვენს მატიანეში, და იქნება, ღმერთმა ჰქნას, ამ მეოცე საუკუნის ბოლოში გამოჩნდეს მეორე სუმბათიშვილი და დაწეროს დრამა „ოცი იანვარი" 1904 წლისა, რომ ეს დღე და წელი გააუკვდავოს.

ია ერაძე.

კმარა ძილი...

რას დაჩუმდით? რამ შეგაკრთოთ?
ან რამ ჩაგიწყვიტათ ენა?
სიმართლეს თუ შეუშინდით,
დაივიწყეთ დედა-ენა?!
თუ ლამაზებმა მოგხიბლეს,
დაივიწყეთ წმინდა ვალი?
„მოძმის პირი — ღობეს ჩხირი"
აგებნიათ გზა და კვალი?!
წინანდელი თქვენი აზრი:
„დაჩაგრულთა მფარველობა,
ქვრივ-ობლების და ღარიბის
შეწევნა"... თუ მტარვალობა?!
ნუთუ ყველა ერთად გაქრა:
გულის ძგერა, აზრი წრფელი;
მოვალეობა ივიწყეთ,
ამჯობინეთ ნათელს ბნელი?!.
ფუფუნებით განისვენებთ.
ტკბილსა სვამთ და რიგზე ძღებით,
და რომ მოძმეს ცრემლი სცვივა,
მშვიდათ შესცქერით, თითქო სტკბებით!?.
კმარა ძილი... გაიხედეთ
რა რიგ კვნესის ჩვენი ერი.
მედგარ ბრძოლას შეუდექით,
რომ განდევნოთ მათი მტერი!..

დ. ელპიტისშვილი.

—

ჩვენებური ამბები.

ქუთაისი. ქალაქის გამგეობას ჰყავს ერთი ბეითალი, რომელსაც სურს თურმე ბეითლობას თავი დაანებოს და მწერლობას მიჰყოს ხელი. მას უკვე აღუძრავს შუამდგომლობა ქუთაისში რუსულ გაზეთის გამოცემის ნებართვის შესახებ. სამწერლო ასპარეზზე გამოსასვლელად ის ეხლავე იმზადებს ნიადაგს და ერთი თითის სიგრძე კომედია-პასკვილი უკვე მიაწოდა საზოგადოებას ამ სათაურით: **Добродѣтель въ маскѣ.**", სადაც ასეთს ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებს იპოვნით: „А знаете, княгиня, прогулки частыя вдвоемъ, почти всегда кончаются втроемъ"... მეორე ადგილას: „Безъ насъ нулей (т. е. мужчинъ) дамы всегда останутся только единицами!". შემდეგ: ერთი ქველმოქმედი ამბობს ქველმოქმედ „Подѣлили нашу добычу. Мой верх"..—„А мой низ". მიუგებს მეორე ქველ-მოქმედი. ნამდვილ პალმისებურად იწყებს ბ-ნი ბეითალი, მაგრამ ვაი, თუ მასაც ის დღე დაადგეს, რაც დღე პალმს დააყენა ხელობის გამოცვლამ.

— ერთს ქუთათურ სტუდენტს, რომლის ვინაობა მჭიდროთაა შეკავშირებული ოდესელ ძვირფას ბეჭედთან, ხელმეორედ უსახელებია თავი: წამოუქცევია მოხუცი მრეცხელი ქალი და იმდენი უცემია საბრალოსთვის, რომ სულ გვერდები ჩაუმტვრევია: ფულის თხოვნა როგორ გამიბედეო. ყოჩაღ სტუდენტო! მაგრამ არ მგონია, სასამართლოს კარებშიც ისე ადვილად გაძვრე, როგორც ოდესელ ძვირფას ბეჭედში გაძვერი.

ამდენხანს მარტო სტუდენტები მართავდნენ თავის სასარგებლოდ საქველმოქმედო საღამოებს, რომელსაც ცოლის შერთვა სურდათ; ეხლა მათ ქალებმაც მიჰბაძეს და დაიწყეს საქველმოქმედო საღამოების მართვა. საგანი მეტად კეთილია: გასათხოვრად ემზადებიან და მზითევს იწყობენ. ღმერთმა-კი თავი გაისაღონ და მართონ საღამოები. ცოლის შერთვა და გათხოვება ხომ ,,საზოგადო მოღვაწეობაა" გოგიჩაიშვილის აზრით!

— რადგან ქუთაისის ქუჩებზედ არც ფეხით არც ეტლით გავლა არ შეიძლება, ქალაქის გამგეობას შეუკვეთნია საღორის აგარაკის მმართველისათვის დაამზადოს 45,000 ორჩოფეხა ქალაქის მცხოვრებლებზე გასაქირავებლად (ქუთაისში 45,000 მცხოვრებია). თითო ორჩოფეხას ქირა იქნება წლიურად თითო მანეთი; ასე რომ მდგომარე წელში ქალაქის შემოსავალს 45,000 მანათი მიემატება, ეს ფული გადაიდება ელექტრონულ ტრამვაის გასაკეთებლად.

№ !?

—

ხონი. ევრიკა!—წამოიძახა ერთმა ახირებულმა ადამიანმა! კაცო, რა გაკვირებსო უპასუხა მეორე მომეტებულად ახირებულმა ,,ბურჟუამ".

— «როგორ თუ რა მაკვირებს, აი ჩემმა თავმა იმისთანა აზრი იპოვა, მართლა რომ ვიყვირო: ევრიკა! ევრიკა!.. სიხარულით ფეხზე აღარ უნდა იდგეთო"!

— მაშ კარგი, დავწყნებით და, [illegible] ღმერთი გწამთ, სიჩქარით გაგვიზიარე შენი ნაპოვნი აზრიო", აქეთ-იქიდან უპასუხებენ.

მაშ კარგი,—დაწყნით და ჩემ ნაპოვნ აზრს ხელად გაგიზიარებთ. „აი რაშია საქმე: მე მომივიდა აზრი, ფრიად სიმპატიური აზრი: არა, მომივიდა-კი არა, გზაზედ ვიპოვე. უნდა მოიწვიონ ხონელმა „კორესპონდენტები", რომლებიც საშინლად არყევენ ჩვენს მყუდრო ცხოვრებას; მათ მოსასპობლად საშუალებაც ვიპოვე: მივწეროთ რომელიმე გაზეთს, რათა გამოაქვეყნოს ყველა ჩვენი [illegible] კორესპონდენტები და თან ჩვენის დახმარებით მოუსპოს მათ კორესპონდენტობის უფლება.

— „ძალიან აზრია, ძალიან... ,,ანაფემა" კორესპონდენტებს, მაშ ვილონოთ რამე საშუალება და მოვსპოთ იგი.

უკუღმართ ხონელების სიხარულს საზღვარი არა აქვს.

კენტი.

—

ქერონა

ირგვლივ ყველა მხიარულობს,
მისცემიან ნეტარებას:
ავერ ბუნებური ვარდებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

ცნობილ არტისტ შალიაპინ-ს ბენეფისი იყო 14 იანვარს პეტერბურგში. წმინდა შემოსავალი რგებია მობენეფისეს 15,000 მანათი.

— ერთმა მოსკოველმა მდიდარმა, გვარად შალაპუტინმა, რომელიც განთქმულია ქველ-მოქმედებით, ეხლა ხან დააარსა თავის ხარჯით სახელოსნო სასწავლებელი. შენობა და სასწავლებლის განყოფილობა 200,000 მანათი დაუჯდა.

— ნოვგოროდის გუბერნიის საერობო კრებამ ამ წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვიდგან 5,700 მანეთი გამორიცხა, რომელიც სამრევლო სკოლებს ეძლეოდა წინა წლებში. თუმცა გუბერნატორს დაუვალებია საერობო გამგეობისათვის, ეს თანხა ხარჯთ აღრიცხვაში კვალად შეიტანეო, მაგრამ საგუბერნიო კრებამ სავალდებულოდ არ დაინახა სამრევლო სკოლების შენახვა ანუ დახმარება.

— კიევის მესამე კლასიკურ გიმნაზიის მეშვიდე კლასის შეგირდს ა. შერემეტევს შობა დღეს ქუჩაში დაუნახავს, რომ სამი პოლიციის მოხელე ვიღაც ახალგაზდა კაკარდოსან კაცსა სცემდა. გიმნაზიელმა მოხელეებს უთხრა, თქვენ ცემის ნება არა გაქვთო. ერთს მოხელეს, გვარად კუკსს, არ მოეწონა არამკითხეს შენიშვნა, მივარდა, კისერში ხელი ჩაავლო და იქით გაისროლა. მერე მოხელეს ალბად გაახსენდა, რომ პოლიციის გარკარგულების ხელშემშლელს მეტი სასჯელი მოელის, დააპატიმრა გიმნაზიელი და პოლიციაში მიჰყავდა; გზაში თან ლანძღავდა, თან სცემდა. შეხვდა უბნის მეთვალყურე, რომელმაც მოხელე უკან გააბრუნა და გიმნაზიელი თვითონ მიიყვანა პოლიციაში. ამ იანვრის 14-ს ოლქის სასამართლომ განიხილა გიმნაზიელის მშობლების საჩივარი და პოლიციის მოხელეს კუკსს ორის კვირით პოლიციაში დაპატიმრება მიუსაჯა.

— მას შემდეგ, რაც საერო განათლების სამინისტრომ ცირკულიარი გამოსცა (1887 წ.), რომ სასწავლებლებში მხოლოდ 10% ებრაელების ბავშვი მიიღონ, ებრაელები უფრო ხშირად ანათვლინებენ ბავშვებს მართლ-მადიდებელთა ეკლესიის წესით, ხოლო თვითონ ისევ ებრაელთა სარწმუნოებაში რჩებიან. ტავრიდის (ყირიმის) ეპისკოპოსს ყოვლად-სამღვდელო ნიკოლოოზს ეს ამბავი მოუხსენებია უწმ. სინოდისათვის და უკითხავს, როგორ უნდა მოვიქცეთო. სინოდს განუმარტავს, როდესაც თვით მშობლები თხოულობენ შვილების მონათვლას, უარის თქმა არ შეიძლება, ხოლო სასულიერო წოდება მოვალეა ბავშვს თვალყური ადევნოს, რომ მართლ-მადიდებელ ეკლესიის წესით აღიზარდოსო.

— ზოგს ადგილს მთხოვრობა სენად გადაქცეულა, თხოულობს გაჭირებულიცა და გაუჭირვებელიც. მართებლობა და საზოგადოება მრავალ ღონისძიებას სცდის და ხმარობს მათხოვრობის მოსასპობლად, მაგრამ არა ეშველა რა. ერთი კარგი და უებარი საშვალება თვით გლეხებს მოუგონიათ ორლოვის გუბერნიაში, სოფელ რადომლის გლეხთა საზოგადოებას დაუდგენია განაჩენი, რომ ჩვენ სოფლელმა აღარ გაბედოს მათხოვრობა არც აქ და არც სხვაგანაო. მართლა გაჭირებულები ჩვენ საერთო ხარჯით ვარჩინოთ, ვინც ჯანიანია, ან შეუძლიან რამე, საქმე ავუჩინოთ, ვამუშავოთ და, როცა საქმე არ იყოს, დავეხმაროთ, მივცეთ საზრდო, რაც მოუნდება, არც მეტი და არც ნაკლები, რომ შიმშილმა არ შეაწუხოს და მოჭარბებულის გაყიდვა და სასმელში გაცვლა არ შეეძლოსო. ბებრებსა და უძლურებსაც ჩვენ ვუშოვით შესაფერ საქმესაო.

—

ოდესა. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 12 იანვარს შესრულდა 30 წელი, რაც ჩვენი თანამემამულე პროფ. პეტრე გრ. მელიქაშვილი დაუღალავად ემსახურებოდა მეცნიერებას. ამ ხნის განმავლობაში პატივცემულმა პროფესორმა არა ერთი შესანიშნავი გამოკვლევა შესძინა ქიმიას და საპატიო ადგილიც დაიჭირა თანამედროვე მეცნიერთა შორის. გარდა ამისა ბ-ნ პეტრეს პირადი ღირსებანი —პირდაპირობა, შრომის-მოყვარეობა, გულშემატკივრობა და თავმდაბლობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ როგორც ამხანაგნი, ისე მოწაფენი გულწრფელის პატივისცემით არიან გამსჭვალულნი მისდამი. მიტომაც, როგორც ამხანაგნი და პატივისმცემნი, ისე მოწაფენიც სიამოვნებით მოელოდნენ 12 იანვარს, რათა გადაეშალოთ იუბილიარისათვის მადლობით აღსავსე გულნი და თანაც გაემხნევებინათ მომავალ სამოღვაწეოდ.

რადგან ბ-ნი მელიქაშვილი აქ არა ბრძანდებოდა, 12-ს აღარ მოხდა განზრახული დღესასწაული და 16-სათვის გადასდეს.

16 იანვარს ბუნებისმეტყველთა განყოფილების ერთ-ერთ დარბაზში შეიკრიბნენ ქიმიის პროფესორები, ლაბორანტები, ასისტენტები და სტუდენტობა. 12 საათზე მობრძანდა იუბილარი და ყველანი ტაშით მიეგებნენ, რადგან მხცოვანი პრ. ვერიგო ოდესაში არა ბრძანდებოდა, იუბილარს, ამხანაგთა სახელით, პროფ. ვ. მ. პეტრიაშვილმა მიჰმართა, როგორც უხუცესმა, გრძნობიერის სიტყვით. მოკლეთ დაუსურათა მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა, დიდად შეაქო საუცხოვო გამოკვლევანი იუბილარისა და უსურვა კვლავაც კამარჯვებით მოღვაწეობა იმ ასპარეზზედ, რომელზედაც სახელოვნად შრომობდა გასულ 30 წლის განმავლობაში. ამასთანავე გადასცა იუბილარს მშვენიერი ალბომი ამხანაგთა სურათებით.

ამის პასუხად ბ-ნმა მელიქაშვილმა დიდი მადლობა შესწირა ამხანაგებს პატივისცემისათვის და შემდეგ ვრცლად განმარტა ის ხანა უნივერსიტეტის ცხოვრებისა, როდესაც იგი შეუდგა სამეცნიერო მოღვაწეობას. მოწიწებით მოიხსენია მაშინდელნი მნათობნი ოდესის უნივერსიტეტისა, —მეჩნიკოვი, სეჩენოვი და სხვ.,—რომელნიც ბურჯებად უდგნენ მეცნიერებას და თავის მაგალითით ისე ჰხიბლავდნენ ახალთაობას და იზიდავდნენ სამეცნიერო სარბიელზედ სამოღვაწეოდ, რომ შეუძლებელი იყო არ აღფრთოვანებულიყო კაცი. მეცაო,—სთქვა იუბილარმა—მათ მიერ ნაჩვენებ გზას დავადექი და ვიწყე შრომაო. გულახდით უნდა მოგახსენოთ, —და იმედია თავის ქებად არ ჩამომართმევთ,— რომ ერთს წამსაც არ მიღალატნია ჩემის საქმისათვის, მუდამ სინდისიერად ვემსახურებოდი იმ საგანს, რომელსაც შევუდექიო. მართალია, ჩემი ნაშრომი მკრთალი აჩრდილია იმ მნათობთა დიად შრომებისა, მაგრამ ეს განსხვავება ნიჭის საქმეა, და ნიჭი ხომ ბუნებითა აქვს კაცს მიმადლებულიო.

შემდეგ ამისა ოდესის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელმა მიართვა ადრესი, რომელშიაც მოხსენებული იყო იუბილარის ღვაწლი მეცნიერების წინაშე, და ის აზრი იყო გატარებული, რომ პატივცემულ თანამემამულეს მომავალშიაც მხნედ განეგრძოს თავის სასიქადულო შრომა მშობლიურ ერის სასახელოდ.

იუბილიარმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა ახალგაზდა თანამემამულეთ ასეთ ყურადღებისათვის, და გაუზიარა დამსწრეთ ის წმინდა გრძნობანი, რომელიც სამშობლო ენაზედ წაკითხულმა აღუძრა. როგორც მოგეხსენებათო,—სთქვა მღელვარებით იუბილიარმა—მე შვილი ვარ იმ განაპირა ადგილისა, სადაც მკვიდრთ, ჯერ კიდევ ჩემს მახსოვრობაში, მეტად სჩაგრავდენ, აბუჩად იგდებდენ, მხეცებს ეძახდნენ; მაგრამ საბედნიეროდ ჩვენამდეც უწია მესამოცე წლების კაცთ-მოყვარეობის აზრთა ტალღამ; მოგვევლინა ერთი ჯგუფი იმ ახალგაზდათა, რომელნიც ამ აზრებით იყვნენ გამსჭვალულნი, იგინი წინაღუდგნენ მტრობა-შუღლის მთესველ კაცთ-მოძულეობის მომხრეთ და თავის მოღვაწეობას სარჩულად დაუდვეს სათნოება და სიყვარული, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისაო. აი, ეს სასიამოვნო ცვლილება ხდებოდა იმ დროს, როცა გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში ვიყავი. განსაკუთრებულის სიამოვნებით მაგონდება ის სანეტარო დრო, როდესაც საუკეთესო იმედებით აღფრთოვანებული თამამად მივისწრაფოდი მომავლისაკენაო. მაშინდელმა თაობამ დიდი ამაგი დასდო განსაკუთრებით განაპირა ადგილთა მკვიდრთ და ამასთანავე ნამდვილი მამულიშვილობა გაუწია თვით სახელმწიფოსაც, რადგან ხელი შეუწყო სხვა-და სხვა ტომთა სულიერად დაახლოვებასაო. მართალია, ბევრი გაკეთდა მას შემდეგ, მაგრამ ბევრი კიდევ დარჩა გასაკეთებელი. გახხოვდეთ ყველას, ვისაც-კი ბედმა გარგუნოთ სახელმწიფოს განაპირა ადგილებში მოღვაწეობა, რომ მხოლოდ სათნო და ადამიანურ მოქმედებით შეიძლება სარგებლობას მოტანა და არა ძალმომრეობით და მჩაგვრელობითაო.

დასასრულ უკანასკნელ კურსის ქიმიკოსებმა ოქროს ჟეტონი მიართვეს შესაფერის ზედწარწერით, რისთვისაც იუბილიარმა დიდი მადლობა შესწირა.

ნ.

უცხოეთი

მაკედონია. სამოქალაქო აგენტები, გენერალ-ინსპექტორთან მიჩენილნი, უკვე მოქმედობენ. მონასტერის კონსულებმა საჩივრები წარუდგინეს, ოსმალეთის მოხელენი ხალხს ავიწროვებენ ხარჯის აკრებისა და დაზარალებულთ შორის დასახმარებელ თანხის განაწილების დროსაო; მრავალი უდანაშაულოდ საპატიმროებში არიან დამწყვდეულნი და სასამართლო მიდგომით სწყვეტს საქმეებსაო. აგენტებმა ჰილმი-ფაშას მოხსენება წარუდგინეს და სთხოვენ ღონისძიება მიიღოს სამართლიან საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

გერმანია. მართებლობა ბოლოს დროს მეტად სასტიკადა სდევნის პოლონელებს, რომლებიც სახელმწიფოს მტრებად მიაჩნია, თითქმის დღე არ გავა, რომ რაიმე ახალი ღონისძიება არ მიიღოს პოლონელთა წინააღმდეგ. პრუსიის სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ პრუსიის მოხელეებმა არავითარი მონაწილეობა აღარ მიიღონ პოლონელთა საფინანსო დაწესებულებაში და შესანახად შეტანილი ფული-კი გამოიტანონ პოლონელთა ბანკებიდგან. აკრძალვა შეეხება არა მარტო თვით მოხელეებს, არამედ მათ ცოლშვილსაც. ეს ღონისძიება იმით არის ვითომ გამოწვეული, რომ გერმანელები თავის ფულით პოლონელთა საქმეებს აძლიერებენ. ჰფიქრობენ, რომ ასეთი აკრძალვა მარტო ბანკებს-კი არ აზარალებს, არამედ დასცემს ვაჭრობა-მრეწველობასაც. გერმანელებმა რომ თავის ფული მოსთხოვონ ბანკებს, მაშინ ბანკებიც მოითხოვენ, რომ ყველამ სესხად გაცემული ფული დაუბრუნოს. ეს-კი საფინანსო საქმეში მოუხერხებელია. პოლონელები ამბობენ, თუ ეგრეა, ჩვენც მოვთხოვთ გერმანელებს გაცემულ ფულს და ვნახოთ, როგორ გადიხდიანო. ამას გარდა ჩვენ უნდა შევერთდეთ და ჩვენი თანხები ჩვენს საფინანსო დაწესებულებათა მივაბაროთ და გერმანელებს აღარ ვანდოთო. პოლონელი დეპუტატები აპირობენ რეისტაგში აღძრან ამ საგანზედ ლაპარაკი და დაამტკიცონ, რომ მართებლობა ამ შემთხვევაში უკანონოდ მოიქცაო.

პოზნანიდგან ,,ბერლ. ტაგბლ.‘‘-ს ატყობინებენ, რომ პოლონელთა გაზეთების ცნობებით, მიწად მოქმედების მინისტრი ახალ კანონ-პროექტს ამზადებს პოლონელთა საადგილ-მამულო ბანკების წინააღმდეგ.

— გერმანიის ელჩმა თავადმა რადოლინმა იმპერატორის ვილჰელმ II ს დაბადების დღეს სიტყვა წარმოსთქვა პარიჟში, რომელშიაც აღნიშნა, რომ ამ ჟამად გერმანიას და საფრანგეთს შორის სრული თანხმობა და კეთილგანწყობილება სუფევსო; როგორც პოლიტიკურ, ისე საკომერციო საქმეებში მეტი ურთიერთობა შეუძლებელიაო.

ამერიკა. თუ ვინიცობაა ომი ასტყდა რუსეთსა და იაპონიას შორის, შეერთებული შტატები, როგორც მთავრობა იუწყება, არ ჩაერევა, მაგრამ სავაჭრო დაწესებულებანი-კი მეტად აღელვებულნი არიან რუსეთის წინააღმდეგ. ვიდრე რუსეთი ფეხს შესდგამდა მანჯურიაში ამერიკელების ვაჭრობა იქ თანდათან ძლიერდებოდა, ეხლა-კი შესამჩნევად ეცემა და რუსეთს-კი უთმობს თავის ბაზარს. 1903 წლის პირველ ათის თვის განმავლობაში ამერიკის ბამბეული 7 მილიონით ნაკლები გაყიდულა მანჯურიაში, წინა წლებთან შედარებით. რუსეთის საბაჟოები კარს უკეტავს ამერიკის საქონელს. ამერიკელები ჰფიქრობენ, რომ ვაჭრობის გაძლიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება აზიის აღმოსავლეთში, თუ რომ რუსეთის წინამსვლელობა შეფერხდა, თუ არა და, ამერიკელებმა იმედი უნდა გადიწყვიტონ და სრულიად ხელი აიღონ.

ინგლისი ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა დუგლარმა ამ დღეებში სიტყა წარმოსთქვა სვინსში შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა გამო და განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა სცდილობს ეხლანდელი კრიზისი მშვიდობიანად გათავდეს და, თუ ეს საუბედუროდ ვერ მოახერხა, მაშინ უნდა იმქმედოს თანახმად თვის ხელშეკრულობისა მოკავშირე იაპონიასთან. ამისთანავე აზრი წარმოსთქვა ამას წინად მინისტრ-პრეზიდენტმა ბალფურმა. ამ სიტყვებს რომ ვერწმუნოთ, ინგლისი აუცი-

წკრიალებს ტკბილს სიმღერას.

—

შოშია, ჩხართვი, ჩიტები
გალობენ აგერ ბუჩქნარში,
აგერ ტოროლამც სიმღერით
შეინავარდა ზეცაში.

—

აგერ ფუტკარი, პეპელა
კალია, ჭიანჭველები,
აგერ მერცხალი, ქერონა,
აგერ ღუღუნა მტრედები.

სადაც გაჰხედავ, სიცოცხლე
გაჩაღებულა ყველგანა...
ჩამოუქროლა ალალმა,
წააწიალა ქერონა.

—

შეშინდნენ დანარჩენები—
იქ მყოფნი ყველა ერთიან,
თავის საშველად საწყლები
კისრის ტეხითა გარბიან...

შესწყდა სიცოცხლე ერთ წამს
არ ღუღუნებენ მტრედები...
მინდორ-ველისა მოედვნენ
არწივი, ძერა, ქორები

დაიჯახირიეს, დაჩაგრეს
მექონე ცოტა ძალისა,
დააკნინ-დაჩიავეს
აწ ძალი სამართალისა.

—

მეც ცოტა ძალის მქონეს
დაკოდილი მაქვს გულია,
ვერ გამიმრთელებს სიმდიდრე,
ვერც სატრფოს სიყვარულია.

—

მაგრამ, რომ ვნახო სიმართლე
ქვეყნადა გამეფებული,
ალალი ქერონასაგან
დაჩაგრულ-დატყვევებული,

—

მაშინ გული დაკოდილი
იგრძნობს შვებას, გამრთელდება
სიხარულით სიყვარული,
სატრფოვ, მაშინ დამჭირდება.

—

ჯერ-კი, სანამ ჩაგრულების
მესმის კვნესა მწუხარება,
უნდა ვსთქვა, რომ ქვეყანაზედ
სიცოცხლეც-კი მეზიზღება.

გერმანე ლადოშვილი

—

ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

გამოცანები

(დასასრული)

8.

ბედაურნი დაიხოცნენ,
ერთ სულს დარჩა მოედანი;
პირველ კაცად მე მსახავენ
ქუთაისის კარგნი ყმანი.
მეც რატომ არ შევიფერებ...
კორსიკანელ გმირსა ვბაძავ,
გარეგნობით ვიწიწები—
აბა საქმით რას წავბაძავ.
ვეცდები-კი გადავკეთდე,
,,ეს ვარგაო‘‘, შემამჩნიონ,
ყოველ საქმეზე თავი დავდვა,
რომ მეორეთ ამირჩიონ.

9

ჩემს ხელში მთლად ჩაიფუშა
ფარნები და განათება,
გზებზე წყლები გადმოვიდა,
ვერ ვახერხე გაკეთება.

10

თანაშემწე მიტომ მქვია,
რომ ჩემს უფროსს შევეწიო,
ის რა გზასაც დაადგება,
არ ჩამოვრჩე, დავეწიო,
მაგრამ ღმერთმა ააშენოს,
არ ყოჩაღობს, წინ არ მიდის,
მეც ვისვენებ, არ ვმოძრაობ,
ვზარმაცობ და ქე გამიდის.

11

მაიამ შვა ზდანოვიჩი,
პუბლიცისტმა თავმჯდომარე,
მეც შემთხვევით ვისარგებლე
და დრო კარგად მოვიხმარე.
რამდენსაც ქუხს, იმდენს არ წვიმს,
სწორედ ჩემზე ითქმის აგი,
მგონი ჩემთან დაეკარგათ
ჩემს მეგობრებს ნაამაგი.
გავაკეთე-კი იმდენი,
რაც ისინი შევაწუხე?
თავში ტკბილი ვიყავ, მაგრამ
ვაჰ თუ ბოლოს დავრჩე მწუთხე.

12

ახალგაზდა ყმაწვილებო,
მოდით, ნახეთ ჩემი წესი,
ჩემს ღვაწლს თან ნაყოფი მოაქვს,
მე მოვიმკი, რაცა ვსთესი.
ამისთანა თითო რამე
თქვენც ჩემსავით გააკეთეთ,
ოცნება და სინამდვილე
ცხოვრებაში შეაერთეთ.
გახდით ქვეყნის სასარგებლო,
როგორც მე ვარ, ერთი მწევარი,
გონებით და ხელოვნებით
მოვიგეროთ ბუზი, მწერი.

13

კიდამ ღმერთი შემეწია
ჰეროსტრატი შევიქენი!
მან ტაძარი დაწვა და მე
„კალისტრატიზმი“ შევქმენი.
მხოლოდ ის ისტორიაში
დღესაც დიდად იხსენება,
ჩემი გაიძვერობა-კი
ჩემთან ერთად დამიწყდება.

14

დალოცა ღმერთმა ჩემი გაჩენა
ბედნიერ დღეზე მე დავიბადე,
ფულებს ვჰამ ისე, როგორც ლობიოს,
ხელში მიჭირავს სათევზო ბადე.
პირუკუღმა რომ გადავტრიალდე,
ყველას გონია წაღმა ვტრიალობ,
ბოდიშს მიხდიან, შრომათ მითვლიან,
დიდ ქალაქებში რომ დავბრიალობ.

15

კეთილი ვარ ცათამდის,
ბოროტი ქვესკნელამდის;
ნიჭი სულ მემატება,
ლექსები თავს გადამდის.
დასელები მემდურის,
ამ ბოლოს ვუღალატე,
მაგრამ რა ვქნა, ვეცადე
და მათ ვერა შევმატე.

16

ჯინიან ჯორს წარმოვადგენთ,
რასაც ვიტყვით, დავიჯინებთ,
ახალს ჯინზე არ შევიძენთ,
ძველსა ვზიზღობთ და ვაგინებთ;

17

ვცდილობთ, თავი შევაძულოთ
ვისაც-კი კი ჩვენ გავეცნობით,
ქვეყანას-კი ავაშენებთ
ყვენ ამ გვარის ყოფა-ქცევით;?

17

დიდ ღვაწლათ-კი მიგვაჩნია
ტყუილა წერა და ღალატი;
ჩვენგან დიდს ვერას მიელის
ჩვენი ერი და.... მყობადი

18

შენა, ჩემო გუბერნიავ,
მსურს გკითხო: როგორა ხართ?
არ იფიქროთ, მე თქვენ მძულდეთ,
დამიჯერეთ; რომ მიყვარხართ!
სიურპრიზად გიძღვნით ლექსებს,
რომ არ მოგეკიდოთ ობი,
დავშთები თქვენი ერთგული
მონა-მორჩილი

ხოხობი.

—

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ამას წინად ბ-ნა ი. ზ—ის წერილებში (რამდენიმე დღე ბაქოში) იყო აღიარებული სასურველ ტიპად ,,ვიღაც‘‘ ევროპაში ნასწავლი ახალგაზდა ქართველი. რაც ეს წერილები წავიკითხე, მას აქედ მოსვენება აღარა მაქვს, დავდივარ ბაქოსა და მის მიდამოებში და ვეძებ მას, მაგრამ რომ ვერ გავხდი მისი ნახვის ღირსი?! ყველგან ასე მეუბნებიან: ამ არემარეში მაგის მსგავსს არავის გაუვლიაო... არ მჯერა: ბ-ნი ი. ზ—ლი სიცრუეს არ იკადრებს. ეხლა ჰქენით სიკეთე და გამიგეთ ბ-ნ ი. ზ—თან ამ ყმაწვილის ვინაობა და ადრესი. გასამრჯელოდ მოგართმევთ ,,ბაქოელთა სინიდის-პატიოსნებას‘‘.

მარად პატივისცემით ელგუჯა

—

დეპეშა

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტოსაგან)

ბაქო. რამდენიმე დღეა აქ თოვს და წვიმს. ქუჩები მდინარეებს დაემსგავსა, ეტლითა და ფეხით მიმოსვლა სჭირს. ნავებით მისვლა-მოსვლის გამართვას აპირებდენ, მაგრამ... ვაი თუ „აღებს“ გული გადაუპორწიალდესო“ და ისევ სხვა საშვალებას მიმართეს; კონკაში ცხენების მაგიერ კამბეჩები შევაბათო, მათ წყალი ვერ აღრჩობს და ვიაროთო. *)

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე

---

*) ნუ თუ ეს ამბები ბ-ნ ი. ზ—ის ნაქებ ქუჩებში ხდება?.. ვის დავუჯეროთ; ბ-ნ ი. ზ—ს თუ „მეშურდულეს“?.. აქ რაღაც „ლილიხანა სპორტილი“ გამოდის.

ასოთ-ამწყობი,

ლებლად უნდა ჩაიერიოს ომში, თუ რომ იაპონიამ თავი გამოიდო.

ნარკვევი

იუსტიციის მინისტრის ცირკულიარ-ის ძალით, ნაფიც მსაჯულებმა არ უნდა გაამართლონ ბრალდებული, უკეთუ თვით აღიარებს დანაშაულობას. ხოლო თუ საქმის განხილვის დროს გამოირკვა დანაშაულობის შემამცირებელი მიზეზები, მაშინ ნაფიც მსაჯულებს ნება აქვთ შუამდგომლობა აღძრან ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ დამნაშავეს ან სასჯელი შეუმცირდეს ან სრულიად მიეტეოს დანაშაული. ამ დღეებში სწორედ ესეთი შემთხვევა იყო. სასამართლომ განიხილა საქმე. ბრალდებულმა გამოძიების დროსაც და სასამართლოს წინაშეც თავისი დანაშაული გულწრფელად აღიარა, თავმჯდომარემ დაატყო, რომ ნაფიცი მსაჯულები გამართლებას აპირებენ, და მოაგონა მინისტრის ცირკულიარი, დამნაშავედ-კი უნდა იცნოთ და ნება გაქვთ შუამდგომლობა აღძრათო. ნაფიცი მსაჯულებიც ესე მოიქცნენ. მაშინვე გაზეთმა აღნიშნეს ეს ამბავი, როგორც ახალი უფლება მსაჯულისა, რადგან ეს პირველი მაგალითია, რომ ნაფიცთა სამსჯავრომ იშუამდგომლა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე. ზოგს გაზეთს სასიამოვნოდ დარჩა ეს მოვლენა, ზოგი კი სხვა აზრისაა იმ ვითომ და ახალ უფლების. აი რას ამბობს იურისტი:

ესეთი უფლება სულაც საჭირო არ არის ნაფიც მსაჯულთათვისო, —იმათ მეტი უფლება აქვთ მინიჭებული: გამართლება იმ შემთხვევაშიაც, დანაშაულობა რომ დამტკიცდეს და შესაწყნარებელი გარემოებაც რომ სრულიად არ გამოირკვეს, —ის უფლება, რომლისთვისაც ბოლოს დროს იბრძვის სენატი მთელ საიურიდიო მწერლობასთან. ნაფიცთა სამსჯავროს შეუძლიან შუამდგომლოდ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე თვით დაუსაბუთებელ განაჩენით გაანთავისუფლოს დამნაშავე სასჯელისაგან და, გარდა თავისის სინიდისისა, არაფრით ხელშეკრული არ არის, რადგან კანონმდებელს ეს სინიდისი მიაჩნდა სამართლის გარანტიად. ამის გამო მან 775 მუხლით მხოლოდ იმას დაავალა, თავის წადილით-კი არ იხელმძღვანელოს, არამედ უმაღლეს მთავრობას წარუდგინოს თავისი მოსაზრება. ეს უფლება ნაფიც მსაჯულებისა თვით იუსტიციის მინისტრმაც აღიარა თავის წერილში. და ვიდრე იგინი დინჯად ასრულებდნენ თავის მოვალეობას და არ ერიდებოდნენ მთავრობის ძალდატანებას, არც საჭირო იყო მათთვის მინიჭება ახალის «უფლებისა». როგორ უნდა შეუთანხმდეს ეხლა ცირკულიარის დედა აზრი მთელ იურიდიულ მწერლობის აზრს, რომელიც თვით ბ-ნ იუსტიციის მინისტრის მიერ უკვე ცნობილია, —ნაფიც მსაჯულთა უფლებას დაუსაბუთებლად გაამართლონ ბრალდებული, როცა მისი დანაშაულობა დამტკიცებულია? თუ რომ მანიჭებენ მეორე უფლებას, მაშ ამით უარჰყოფენ უფრო დიდს წინად მინიჭებულ უფლებას. თუ კომპრომისია.. აქ კომპრომისს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. კანონი უნდა ბატონობდეს მთლად თავის ძლიერებით. თუ ნაფიც მსაჯულებს შეუძლიანთ დაუკითხავად და ანგარიშ გაუწევლად გაამართლონ, ცირკულიარი საჭირო აღარ არის; თუ არ შეუძლიანთ, მაშინ თვით მსაჯულთა სასამართლოც აღარ უნდა იყოს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

ქ. ვლადივოსტოკი. 28 დეკემბერს, აქაურს თეატრში წარმოადგინეს თავ. სუმბათაშვილის პიესა ,,ღალატი‘‘. მეტად სასიამოვნო იყო ჩვენს გადმოკარგულ ქართველებისთვის შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ბევრმა არც-კი იცის არსებობს სადმე საქართველო თუ არა, რუსულ სცენაზე სამშობლოს სახელი გაგვეგონა და მისი ისტორია თვალწინ დაგვხატოდა. ღვთიურმა ხელოვნებამ მრავალტანჯული ძველი საქართველო აზიის კიდეზე გადმოიტანა და სისხლის ცრემლით ჩრდილოელთა გულიც-კი ააძგერა.

თეატრი მთლად გატენილი იყო ხალხით და სულ-განაბულნი შესცქეროდნენ ამაღლებულ სცენას. ქართული გმირობა, სამშობლოს სიყვარული და სისხლის-მსმელ სპარსთა მონობაშიაც-კი მოსპეტაკე დიდება პატარა ერისა მაყურებელთ იტაცებდა. სახელოვანმა შვილმა მოკლედ, მაგრამ ძრიელის სურათებით თვალწინ დაუხატა რუსეთის საზოგადოებას სისხლით-მოსილი სამშობლოს ისტორია. ტიპიური მოვლენა ჩვენს ძველს ცხოვრებაში სპარსთაგან ჩვენის ქვეყნის აოხრება, ბარბაროსული მუსვრა ერისა, ეროვნულის და სარწმუნოების გრძნობის დამცირება ქონებრივი რბევა და უმანკო ქალწულთა შებილწვაც-კი—ყოველივე ეს მშვენივრად აქვს ავტორს გადმოცემული. ქვეყნის ბედის მუდამ განსაცდელში ყოფნამ და მტერთან განუწყვეტელმა ბრძოლამ წარმოშობა გულადი და სამშობლოსთვის თავ-განწირული მეომარნი და ღირსეულნი ქართველნი დედანი. დედოფალი თამარი ოცი წლიწადი ითმენს ყოველნაირს დამცირებას, მოკლებულია დედის გული ერთადაერთ შვილს—მიტომ რომ ბოლოს მაინც გაანთავისუფლოს სამშობლო მტრის ხელისაგან. იგივე საერო განსაცდელში ყოფნა და მტრისაგან თავის დაცვა აერთებდა ხშირად გლეხს, მღვდელს და თავადს. ამიტომ კლასიურს ბრძოლას ჩვენში ისეთი ნიადაგი არ უნდა ჰქონოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, სადაც სოციალური განვითარება უფრო წყნარად სწარმოებდა. ეროვნულმა გრძნობამ დააცხრო ჩვენში სარწმუნოებრივი ფანატიზმი; ან-კი სად ეცალა ჩვენს სამღვდელოებას დოგმატებისთვის და ერს კიდევ-- საეკკლესიო წესებისთვის. სუმბათაშვილის მღვდელი საბა ანაფორის მაგივრად ნაბადშია გახვეული...

თამარში ავტორმა მშვენივრად შეაერთა ქვეყნის და შვილის სიყვარული და გვიჩვენა, თუ რა ძრიელია სოციალურად დიდად განვითარებულ ინდივიდუუმშიც-კი პირადი ინტერესები. ორის კალმის მოსმით გაიანეში ცოცხალი, ბუნებრივ ნიჭით შემკული ქალიშვილია დასურათებული და ერეკლეში კიდევ ზოგიერთ ჩვენ მეფეთა ქარაფშუტობაა გამოყვანილი.

ერთის სიტყვით, პიესა მშვენივრადაა შექმნილი და, რამდენადაც სუმბათაშვილის ჩვენ სხვა პიესებს ვიცნობთ, ეს ახალი გაცილებით სჯობია ძველებს. აქვს ზოგიერთი ნაკლულევანება, მაგრამ საერთო ღირსება ისე დიდია, რომ არც-კი სჩანს. სახელოვანი თანამემამულის ნიჭი და ძალა წინ მიდის და ვითარდება და ჩვენც ვუსურვებთ უფრო მეტს წარმატებას...

მაყურებელნი ამ პიესით დიდად ნასიამოვნები დარჩნენ... ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რომ ამ სიშორეთ რუსულ სცენაზე რამდენიმე ქართული სიტყვა გავიგონეთ. ბ-ნი პენიაევი, დედით სომეხი და კავკასიაში აღზრდილ-დაბადებული, რომელიც მედუქნე ბესოს როლს ასრულებდა, თამაშობის დროს რამდენიმე ქართულ სიტყვებს უმატებდა ,,რასა შვრები, შე ოხერო‘‘-ს და სხვა... სამწუხარო ნაკლს შეადგენდა ქართულის ტანისამოსის ურიგობა; ქართული ჩიხტი-კოპა და კაბა მეტად იყო დამახინჯებული და რიგიანი წარმოდგენა ვერ მისცა აქაურს საზოგადოებას ქართულ ჩაცმა-დახურვისა. ამ პიესის გამეორებას კიდევ რამდენჯერმე აპირობენ.

სტ. ვ. ლიაძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 იანვარი.

პორტ-არტური. რუსეთის ფლოტი, რომელიც 21 იანვარს გავიდა ზღვაში, 21 იანვარსვე დაბრუნდა, მაგრამ ნავთსადგურში კი არ შევიდა.

კურსკი. გუბერნია მგლოვობს უდროვოდ გარდაცვალებას გრაფ მილუტინისას, რომელმაც გუბერნიის ათს წლიწადს მართვის დროს საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. პეტერბურგში გაგზავნეს დეპუტაციები და დიდძალი გვირგვინები. გუბერნიამ მწუხარება გამოუცხადა ფელდმარშალს გრაფ მილიუტინს.

ხაბაროვსკი. თუმცა უსიამოვნო ამბები ისმის, მაგრამ ხალხი მშვიდათ არის. ხაბაროვსკაში მცხოვრებ იაპონელთ სთხოვეს ლინევიჩს, მფარველობა გაუწიოს ომის დროს. ლინევიჩმა დაცვა აღუთქვა. უსიამოვნო დეპეშების გამო, 23 იანვარს ასამდე იაპონელი წავიდა ვლადივოსტოკში, რომ აქედან ზღვით იაპონიაში წავიდნენ.

ირკუტსკი. დეპეშით მოახდინეს განკარგულება, გაგზავნონ რელსები, რომ ბაიკალის ტბაზე ყინულზე რკინის გზა გაავლონ. ეს უნდა გათავდეს, მინამ გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი გაივლის, ირკუტსკში იმას მოელიან 28 იანვარს.

ლონდონი. („რეიტერის სააგენტო‘‘). საზოგადოებათა პალატა. პასუხად სტატს-სეკრეტარის თანაშემწემ პერსიმ განაცხადა, თიბეტის შესახებ რუსეთის და ინგლისის მთავრობათა შორის იყო მოლაპარაკება, მინამ ექსპედიცია წავიდოდა თიბეთში. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ბროდრიკმა განაცხადა, რომ ექსპედიცია იმიტომ-კი არ წავიდა თიბეთში, რომ მისი ტერიტორიის ნაწილი შემოიერთოს, არამედ იმიტომ, რომ ააცილოს თავიდან ის სიძნელენი, რომელიც გამოწვეულია თიბეთის მთავრობისაგან შესახებ 1890 წ. კონვენციისა.

24 იანვარი.

ბერლინი. საღამოს გაზეთები ბეჭდვენ შორეულ აღმოსავლეთისა საქმეთა მდგომარეობის შესახებ და ჰგონებენ, რომ დღევანდელი ყოფა სამძიმოაო. ერთი გაზეთი ამბობს, რომ ომიანობის დაწყების შიშმა იმატა უკიდურესობამდე: ინგლისის შემაშფოთებელი ამბავნი აღელვებს აქაურ საზოგადოების აზრსაო. —,,ბერლინერ ნახრიხტენ“-ი ამბობს, რომ მდგომარეობა სამძიმოა, თუმცა არა უიმედოვო. —,,ნორდ-დეიჩე ალგემეინე ცაიტუნგი‘‘ 22 იანვარს აფრთხილებდა მკითხველებს, ინგლისის პესიმიზმს ყურს ნუ უგდებთო, ხოლო 23 იანვარს სრულიად მდუმარებს.

პორტ-არტური. ,,ნოვი კრაი‘‘-ს მიუღია ცნობა, რომ 12 დეკემბერს გარდაიცვალა ტუნფუსიანიო, ხოლო მხედრობა მისი გაიფანტაო. რაკი ხმები გავრცელდა, რომ რუსეთის ჯარი გაძლიერდა მანჯურიაშიო, ჩინელები უარს ამბობენ, არ გვინდა კავშირი იაპონიასთანაო და ჰქადაგობენ სრულს ნეიტრალიტეტსაო. ჩინეთის სიყვარული იაპონიის მიმართ გამოიწვია ევროპიელთა თავდასხმის შიშმა და მძულვარებამაო; ხოლო სიმტკიცე, რომელიც გამოიჩინა რუსეთმა, აიძულებს ჩინელებს საეჭვოდ მიიჩნიონ გამარჯვება იაპონიისაო.

ჩელიაბინსკი. 23 იანვარს გზად გაიარა ჩელიაბინსკზე გზათა მინისტრმა თავადმა ხილკოვმა.

ვაშინგტონი. (,,რეიტ. სააგენტო‘‘) სახელმწიფო დეპარტამენტმა ცნობა მიიღო, რომ იაპონიის მთავრობამ სთხოვა ყველას, ვინც მდ. იალუს კორეის ნაპირად სცხოვრობს, სეულს გადასახლდითო.

ნიუ-იორკი. (რეიტ. სააგენტო‘‘). ტელეგრაფის საზოგადოებათ გამოაცხადეს საყოველთაოდ, ომ მივიღებთ დეპეშას იაპონიასა და სეულს გასაგზავნად, მხოლოდ პასუხის გებას-კი არ ვკისრულობთო.

ვლადივოსტოკი. იაპონელების აქედგან უეცრად გადასახლება, თუმცა ადგილობრივი მთავრობა აშოშმინებდა და ჰპირდებოდა მფარველობას, აიხსნება იაპონიის მთავრობის საიდუმლო განკარგულებით. იაპონიის საკომერციო აგენტი აქეზებს იაპონელებს გადასახლებაზედ. იაპონელთა მაღაზიებმა ერთს დღე და ღამეში გაჰყიდეს 100,000 მანეთის საქონელი თითქმის მუქთად. ქალაქში აღარ არიან არც დალაქები, არც მოსამსახურენი და არც მრეცხავი დედაკაცები. ზოგიერთი სახელოსნოები დაიხურა. ორის გემით უკვე გაემგზავრნენ 1,500-მეტი იაპონელი. მოელიან კიდევ ორს გემს დანარჩენთა წასაყვანად. ქალაქში შემაშფოთებელი მდგომარეობაა, უფრო იმიტომ, რომ არავითარი ამბები და, ასე გასინჯეთ, ოფიციალურიც-კი არა იციან-რა.

პეტერბურგი. დათხოვნილ იქმნა, თანახმად თხოვნისა, ავადმყოფობის გამო, საერო განათლების მინისტრი, ტაინი სოვეტნიკი ზენგერი, და დაინიშნა სენატორად.

პეტერბურგის ბირჟა

21 იანვარი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37{,}72\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	$5—6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	96 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთა ბანკისა	$95\frac{1}{8}$ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	—
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	312 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	261 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
$4\frac{1}{2}$% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	$192\frac{1}{4}$
6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 გაყ.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) ღამის 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან მოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოუგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an des Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—49)

თხოვნების დაწერა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოება და სასამართლოს საქმეების შესახებ რჩევა. ღარიბებს უფასოდ.

ნაშუადღევის 3—7 საათ.

მიხეილის პროსპექტი, № 129.

2—2

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სნებით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

Сливочное мыло
НЬГА
Товарищества
А. Ралле и Ко
Москва.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.

ჩაი

ამხანაგობა ჩაის ვაჭრობისა

ვ. ვისოცკი და კო

მოსკოვს.

ტფილისის განყოფილება

მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მის იმპერატორობითი უდიდებულესობის [illegible]

მის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის [illegible]

ძირის თანხა 6.000.000 მანეთი.

Торговый знакъ утвержденъ Правительствомъ
ВыКо

წლიური აღებ-მიცემობა 20.000.000 მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისებების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, სადაც იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.

ჩვენას ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მუშტარებთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—ხომალდია, —მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ ჩაი ვისოცკისა ხომალდით.

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

განყოფილებანი:

ოდესას, ვარშავს, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეთვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-о“.

დეპეშებისთვის: „Корабликъ“.

ჩაი მთავრობის ბანდეროლით

(20—11)

Дозволено цензурою, Тифлисъ 24 января 1904 г. Типографія Е. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи [illegible]